№ 162
ხუთშაბათი, 26 ივლისი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1901

ივერია

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 162
ხუთშაბათი, 26 ივლისი, 1901 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე
ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო

იყიდება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სალოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმლებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება
სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.
(100—43—75)

ტელეფონი № 174.
ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика"

ტფილისის კერძო სამკურნალო
ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი ფასისა).
მიხეილ გედევანიშვილისა,
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი სავანიშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ი. ზიზინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მუდინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. მატინოვი—თვალის 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკოვიჩი—საქირურგო—$12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1\frac{1}{2}$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბედოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

გ. ი. გოგიაშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ვ. კარამზიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არზანიანცი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ჯილდო 500 მ.

24 ივლისს, საღამოთი, დაიკარგა „ბუმაჟნიკი", რომელშიაც იყო: 1) ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის ექვსი 5% გირავნობის ფურცელი 2400 მანეთისა, 2) თამასუქები, კვიტანციები და ფულის ბარათები და 3) 65 მანეთი ფულად. უმორჩილესად ვსთხოვ, ვინც ეს „ბუმაჟნიკი" იპოვნა, წარადგინოს იგი შემდეგის ადრესით: „რაზეზდის" ქუჩა, ვარანცოვის მეგლთან, № 17, სადაც მპოვნელს ჯილდოდ 500 მან. მიეცემა.
(2—163—1).

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. კოლოგნოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (6.)

მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდგან საკუთარის თხოვნის თანახმად: სახელმწიფო ქონებათა ქუთაისის გუბერნიის გამგეობის საგანგებო მინდობილებათა მოხელე კანდელაკი მუნდირით, კავკასიის უფროსი გამმიჯნავი შველიძე და ტობოლსკის ადგილ-მამულთა გამწეს-რიგებელ რაზმის ტოპოგრაფი შატილაშვილი.

ახალი ამბავი

*** რკინის გზათა მთავარმა გამგეობამ აცნობა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას, რომ იმათ, ვინც ქიათურის შტოს გაყვანაზედ მუშაობდნენ, არ შეიძლება სამსახურისათვის ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისაგან ჯილდოები მიეცეთ. ამ მოსამსახურეებმა ჯილდოსათვის უნდა მიჰმართონ პეტერბურგში იმ გამგეობას, რომელიც რკინის გზათა გაყვანის საქმეს განაგებს.

*** მიწად-მოქმედების დეპარტამენტს ტფილისის საბოტანიკო ბაღისათვის წელიწადში 500 მანეთი დაუნიშნავს იმ პირობით, რომ ამ ბაღმა 25% დაკლებით აძლიოს სამრეწველო-საქალაქო?? სასოფლო-სამეურნეო და საერო განათლების სკოლებს ჩასარგავი ხეები.

*** ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში მისაღები ეგზამენები 20 აგვისტოს დაიწყება. ამავე დროს დაიწყება მისაღები და გადასვლელი ეგზამენები ადგილობრივ ვაჟთა გიმნაზიაში. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, როგორც სასწავლებლის მთავრობა აცხადებს, განმეორებითი და დამატებითი ეგზამენები მე-4 კლასის მოსწავლეთათვის მოხდება 17 და 18 აგვისტოს, დანარჩენ კლასების მოსწავლეთათვის 20 და 25 აგვისტოს, ხოლო მისაღები ეგზამენები—27 და 28 აგვისტოს.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს 4000 მანეთი კიდევ გადაუდვია იმ სადგურის დასამთავრებლად, სადაც საქონლის ჭირის ასაცრელ სითხეს მოამზადებენ. სადგურს აშენებენ განჯის გუბერნიის სოფ. ზურნაბადში.

*** მამადავითის გორაზედ ფუნიკულერის გასაყვანად ბელგიის უსახელო საზოგადოება ადგენს თურმე საზოგადოებას, რომელსაც ძირის თანხად 1 მილიონი ფრანკი ექმნება.

*** ტფილისის დედათა ეპარქიალურ სასწავლებელში განმეორებითი და მისაღები ეგზამენები დაიწყობა 27 აგვისტოს.

*** ფინანსთა სამინისტროს, როგორც რუსულ გაზეთებს ატყობინებენ, მოუწონებია ტფილისის ვაჭართა საზოგადოების პროექტი ტფილისში სავაჭრო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

*** ტფილისის უძრავ მამულებზედ დიდძალი სახელმწიფო გადასახადი დარჩენილა. წელს გუბ.-მთავრობამ შეუდგა პოლიციას ამ დარჩენილ გადასახადის მოკრეფას. წლის პირველ ნახევარს შეუკრეფია 35,808 მან. 59 კაპ. (მოსაკრეფია კიდევ 53,092 მან. 77 კაპ.), ამავე ხნის განმავლობაში ქალაქის უძრავ მამულებზედ საგუბერნიო საერო გადასახადის დარჩენილი ფული შეუკრებია 21,757 მან. 91 კაპ. (მოსაკრეფია 43,898 მან. 42 კაპ.).

*** რადგანაც მომავალ სამოსწავლო წელს ტფილისის საკომერციო სასწავლებელში მესამე კლასი იხსნება, ამისად აქვთ სამი ახალი მასწავლებელი მოიწვიონ.

*** როგორც „ცნ. ფურ."-ს შეუტყვია, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს განუზრახავს გამოსცეს პეტრიწის მიერ თარგმნილი პროკლე დიადოხოსის „კავშირი".

*** პოლიციამ შეიპყრო ტფილისში ალ. ლორთქიფანიძე, რომელსაც ბათუმში „არტელშჩიკის" გაქურდვა და დარაჯის მოკვლა ჰბრალდება.

*** გუშინ წინ, 24 ივლისს, დილის 8 საათზედ, სოლოლაკის ქუჩაზედ, უეცრად გარდაიცვალა სპარსეთის ქვეშევრდომი ვართან მურადოვი.

*** გუშინ ვიღაცას მიეტოვებინა გოლოვინის პროსპექტზედ პატარა ახლად ფეხადგმული ბავშვი, მდედრობითის სქესისა; ბავშვი უპატრონოდ დაიარებოდა. ბოლოს ყურადღება მიაქცია ერთმა იქ გამვლელ გულშემატკივარმა და წაიყვანა პოლიციაში პატრონის მოსაძებნად და ჩასაბარებლად.

კავკასიის სოფლის მეურნეობის გამოფენა.

გუშინ, 25 ივლისს, მიღებულ დეპეშით მიწად-მოქმედების სამინისტრომ აცნობა მომავალ გამოფენის გამგე კომიტეტს, რომ 5,600 მანეთი კიდევ იქმნა გადადებული სამინისტროს მიერ გამოფენისათვის.

—

23 ივლისს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელიც მომავალ გამოფენაზედ გასართობების გამართვას აპირობს. ეს სხდომა კომისიამ მოანდომა იმ არტისტების არჩევას, რომელნიც გამოფენაზედ უნდა მოიწვიონ, და იმათ მოწვევის პირობების განხილვას.

—

ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ 20 აგვისტოს მაგიერ, როგორც აქამდე იყო განზრახული, გამოფენა 1 სექტემბერს გახსნან.

—

ორშაბათს, 23 ივლისს, სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს წელს კავკასიის გამოფენაზედ ხალხის გასართობების მოწყობა-მომართვის საქმე. ამ სხდომაზედ კომისიამ გადასწყვიტა დახურულ იქმნას გამოფენაზედ გამართულ სცენის პირდაპირ ხალხის დასაჯდომი ადგილი და აგრეთვე განაგრძო შემუშავება აღნიშნულ გასართობების პროგრამისა.

რიონ-ბალდის კუთხის ამბები

წლევანდელი ზაფხული ჩვენსკენ.—ამაღლების მეორე-კლასიანი სკოლა, ბაზრობა და გზები.—ბალდადის საზოგადოება და სკოლების საჭიროება.—უბედური შემთხვევა.—ვანის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა.—ტობანიერის დილიჟნის ამბავი.

არეული ზაფხულია ჩვენში: 18 ივნისიდგან დაწყებული დღემდის, 20 ივლისამდის, აგერ ერთი თვეა სრული, რაც ყოველ მეორე-მესამე დღეს კოკის-პირულ წვიმას ასხამს; სიმინდი ჩალად არის ქცეული, მარცვლა-გამეორადება აღარ აჩნია, რადგან ბალახი ყანებში მუხლამდეა; წისქვილები აღარა მუშაობს და ხალხი მეტად გაჭირვებულია: ორი ბათმანი სიმინდი ორ კვირას უნდა ატაროს სხვა-და-სხვა წისქვილში და შემდეგ, თუ ძლივნს მიართმევს მეწისქვილეს, მოახერხებს როგორმე დაფქვას. სამაგიეროდ ბალახის მოსავალი წელს ყველგან კარგია, მაგრამ ისიც გამოუსადეგარი შეიქმნა, რადგან საქონელი მცხოვრებლებმა ადრიანად გაიტანეს საზაფხულო მთიგზედ მწყემსებს.

ამას გარდა ყანები გაფუჭებულია სეტყვა-ნიაღვარისაგან; ძველი სიმინდი ვისაც მოეძებნებოდა, ყველამ მაის ივნისში გაჰყიდა, რის გამო მცხოვრებლები შიშში არიან, ვაი თუ სიმინდის მოსავალი წელს კარგი არ იყოსო და მართლაც მოსალოდნელია ეს, რადგან იქ, სადაც ნიაღვარს და სეტყვას გადაურჩა ყა-

ნა, ორი საჟენის სიმაღლეზედ წავიდა და ტაროს ნაკლებად იკეთებს.

საშინელმა ქუხილმა და მეხმა მეტად შეაშინა ხალხი: თითქმის ყოველ-დღე საღამო-საღამოობით გაის მის ცაში გრიალი; ცა ღრუბლით იმოსება თუ არა, ველარავინა ჰბედავს სადმე გამგზავრებას. უწინ ათ წელიწადში ერთხელ ძლივს გაიგონებდით, რომ მეხმა კაცი მოჰკლაო, დღეს-კი აქეთ თვე ისე როგორ გავა, რომ მეხმა კაცი არ იმსხვერპლოს. ამას წინად დ. ბაღდადის მახლობლად ყანაში მომუშავე გლეხი მოჰკლა მეხმა, სოფ. ბზვანში ორ გლეხს ხარები მიჰყავნდათ და ამ დროს დაჰკრა მეხმა, ხარები დახოცა გლეხები იქვე გააგორა; უგრძნობლად მოიყვანეს სახლში და ერთი კვირის განმაელობაში ძლივს მოვიდნენ გონს. ამ დღეებში სოფ. ტობანიერში გლეხი კორძაძე თავის ყანაში ნიგვზის ხის მახლობლად იდგა თურმე და ცხენს აძოვებდა, მეხმა ნიგვზის ხე შუაზედ გააპო და კორძაძეც წააქცია. შინ უგრძნობლად წამოიყვანა შვილს; კორძაძე რაღაც შემთხვევის წყალობით გადარჩა სიკვდილს. ს. ბაშში, მდ. რიონის პირად, როგორც ამბობენ, მეხს მოუკლავს ერთი ბავშვი და ორი დაუშავებია. ხშირმა წვიმა-სეტყვა-ნიაღვრებმა და საშინელმა ბუნების მოვლენებმა ხალხში ცრუმორწმუნეობაც დაჰბადა. აი რას ამბობენ ჩვენი კუთხის ქალები: „ბეჩა, თურმე მოწამეთში დავითი და კონსტანტინე ამდგარან და გაპარულან სადღაც, ამისთვისაა ამ თვეში ასეთი უბედურება, და სანამ არ დაბრუნდებიან, ჩვენი ხსნა არ იქნებაო.

აბრეშუმის პარკის „სეზონი" კარგა ხანია გათავდა ჩვენსკენაც, შემდეგ თან მოჰყვა ტყემლისა და კვაწარახის „სეზონი". ჩვენი ქალები გახარებულნი არიან; დაინახეს რა, ტყემალს ბლომად ესხა, ყველა ტყლაპკვაწარახად გააკეთეს; კაცებიც დატრიალდნენ და უწყობდნენ ქალებს ხელს, იქნებ ჩვენმა ქალებმა გემრიელი ლობიო მოგვიმზადონო. წარსულ წელს ერთი ბოთლი კვაწარახი ორ აბაზად იყიდებოდა და გირვანქა ტყლაპი კი აბაზად, მაგრამ მაინც ვერსად შოულობდნენ. მადლობა ღმერთს, ესეც კარგია.

—

ამაღლების სამრევლო მეორე კლასიან სკოლაში 15 ივნისს მოხდა პირველ კურს დამთავრებულთა გამოცდა. გამოცდა მოახდინეს, ადგილობრივ მასწავლებელთა თანადასწრებით, ქუთაისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელმა ბ-ნმა ყასაბიაშვილმა და რეალურ სასწავლებლის მასწავლებელმა ლ. ხმალაძემ, რომელნიც საბჭოს წევრებად ითვლებიან. სწავლა დაამთავრა წელს, მგონი, შვიდმა მოსწავლემ, რომელთაც წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელთა თანაშემწეობის მოწმობანი მიიღეს. ამ გვარად იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენს კუთხეს განათლების სხივს მოჰფენენ ამაღლების სკოლაში ყოველ წელს კურს-დამთავრებულნი. ეხლა მაინც მოიკრიბება ხალხში აღთქმული ფული და მთავრობის დახმარებით სასწავლებლის შენობის გაკეთებას შეუდგებიან.

აქაურ ბაზარს თანდათან წარმატება ეტყობა; ყოველ დღე მატულობს დუქნათა და ვაჭართა რიცხვი; ყველაფერი იშოვება გასასყიდი; აქვე არის გამართული პარკის ფარდულები და არსებობს აფთიაქი. ვაჭრობა კვირაობითაა, ამიტომ ამ დღეს ოც კაცს ვერა ჰნახავთ ეკკლესიებში, როდესაც წინად ეკკლესიებში ხალხის ტევა არ იყო და ნახევარი გარედ იდგა. თუმცა მღვდლები წირვას ადრე იწყებენ და ათავებენ ათ საათზედ, მაგრამ ხალხი მაინც თავისას არ იშლის: გათენდება კვირა დილა თუ არა, კაცი და ქალი, დიდი და პატარა, საქმიანი და უსაქმო ყველა იქ მიიჩქარის და საღამომდე ატარებს დროს. ერთად-ერთი გასართობი ქალიშვილებისა ეს ბაზარი შეიქმნა; მთელ დღეს იქ ატარებენ; დადგებიან გროვად ქუჩის პირად და „შარმან კაზედ" მოქეიფე და მოსიმღერე ყმაწვილებს შესჩერებიან.

ერთი კვირაა, რაც ს. ამაღლებაში დილიჟანსიც გაჩნდა; დილიჟანსი ამაღლებიდგან ქუთაისამდე ივლის. მაგრამ გადაწყვეტილი არ არის ჯერ მდ. რიონის გამოღმა მხრით ვარციხის და შემდეგ ბაღდადის გზით იაროს, თუ იქვე მდ. რიონში გავიდეს და ს. ტყაჩირის გზით შევიდეს ქუთაისში. მეორე გზა ბევრად მოკლეა პირველზედ, მაგრამ უვარგისია; ჯერ მდ. რიონში გასვლა სჭირს, რადგანაც ბორნები არ ვარგა და მდინარესაც არა აქვს ისეთი მოწყობილი კილაპოტი, რომ ერთ ადგილას გამაგრდეს ბორანი. ტყაჩირის გზით მოგზაურობაც შეუძლებელია: ბოგირები არ არის გამართული, გზებზედ თხრილორმოებია, ტალახი ცხენს მუცლამდე სწვდება; პირველ გამოსვლისას დილიჟანსი ბორანის მახლობლად ჩავარდნილიყო, ცხენები და ეტლი ისე დაფლულიყვნენ, რომ მთელი სამი საათი იწვალეს. ამ გზების ბედიღბალი ქუთაისის ნაწილის ბოქაულის ბ-ნ ნ. ჯაიანის ხელშია; არ გვახსოვს, რომ ბორნიდგან დაწყებული ტყაჩირისა და ოფიშკვითის გზები გაკეთებულიყოს. ერთადერთი საზოგადო გზა, რომელიც ხუთ საზოგადოებას ჰხვდება, უყურადღებოდ არის დატოვებული. მამასახლისები არაოდეს არ გააკეთებენ გზას, თუ ბოქაული არ მოახდენს განკარგულებას და არ უბრძანებს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ-ნი მაზრის უფროსი თ-დი დადეშქელიანი მიაქცევს ყურადღებას როგორც ქუთაისიდგან ჩვენს კუთხემდის მომავალს, ისე სოფლების გზებს. მამასახლისები უფრო ხშირად აკეთებენ ერთს დიდ გზას ბაღდად-ორპირისას, დანარჩენი გზები სოფლებში უპატრონოდ არის დატოვებული. ეს სასოფლო გზები მამასახლისებს შეუძლიანთ შეაკეთებინონ იმ მცხოვრებთ, რომლებიც ამავე გზების პირად სცხოვრობენ.

ჩვენი რიონ-გაღმის კუთხე 12 საზოგადოებისაგან შესდგება, სადაც 12 ათასზედ მეტი მცხოვრებია. ეს კუთხე თითქმის მესამედ ნაწილს შეადგენს ქუთაისის მაზრისას და არც ისე უმნიშვნელო კუთხეა. აქეთ ბევრია ტყე, სიმინდი, დაფნა, ბზა, სხვა-და-სხვა ხილი და გოგირდის წყლები ინაშაურსა და დვალიშვილებში; ეს წყლები შესანიშნავია სამკურნალო თვისებით, წყლის ტემპერატურა 29 გრადუსამდე ადის და მრავალი ავადმყოფი იკრიბება ზაფხულობით. ხმა დადის, რომ მდ. რიონზედ გასაკეთებელ ხიდის ფულები, რომელიც საერობო თანხიდგან იქმნა გადადებული, სხვა რაღაც საჭიროებას მოახმარესო. მოთავე ვინმე რომ ჰყავდეს ჩვენს კუთხეს, ეს საქმე გამოირკვეოდა. კარგი იქმნება, რომ თ-დი კირილე ლორთქიფანიძე, როგორც ამ კუთხის შვილი, თავად-აზნაურობის წარმომადგენელი თ-დი დ. ნიჟარაძე და ჩვენი მაზრის უფროსი მიაქცევდნენ ამ გარემოებას ყურადღებას.

—

ბაღდადის საბოქაულო სკოლების რიცხვით მეტად კოჭლობს; არ არის სკოლა, მაგალითად, გორას საზოგადოებაში, სადაც 1000-ზედ მეტი კომლი მცხოვრები ითვლება, დვალიშვილების საზოგადოებაში და უხუთის საზოგადოებაში; ყველგან შეიძლება ერთკლასიანი სამინისტრო სკოლის დაარსება, რაიცა ცოტაოდენ სარგებლობას მაინც მოუტანს სოფლებს. თუმცა ამაღლებაში არსებობს სამრევლო მეორე კლასიანი სკოლა, მაგრამ სოფლის ხალხისათვის არაა ხელმისაწვდენი, რადგან, თუ ბავშვი კარგად მომზადებული არ არის, არ იღებენ ამ სკოლაში. ამას გარდა აქ გარეშე საზოგადოებისა და სოფლის შვილებს უფრო მეტს იღებენ, ვიდრე აქაურებს. გლეხს რომ შეეძლოს სამის განყოფილების კურსი გაათავებინოს სადმე თავის შვილს, მეტს აღარც დაეძებს და სხვა გზას უჩვენებს.

ეხლა ბაღდადის ბოქაულად დანიშნული იქმნა, როგორც ამბობენ, ხონის ბოქაული ბ-ნი ვაშალომიძე, რომელიც, იმედია, ჩამოივლის ჩვენს კუთხეს და ყურადღებას მიაქცევს როგორც გზებს, ისე სკოლების გამრავლების საქმეს. დარწმუნებული ვართ, ახალი ბოქაული იმ აზრისა არ იქნება, რომ მასწავლებლებს მშიერი კუჭით შეუძლიანთ სამსახური, როგორც ეს იმის წინა მოადგილეს ეგონა. ბაღდადის ორკლასიან სკოლის მასწავლებლებს, როდესაც ისინი მამასახლისს მასწავლებლების ჯამაგირის თავის დროზედ ხაზინაში შეტანასა სთხოვდნენ, ეს ბოქაული ხშირად უპასუხებდა ხოლმე: „თქვენ მასწავლებლები ხართ ხალხისა და ისეთმა უმნიშვნელო გარემოებამ, როგორც ჯამაგირის დროზედ მიუღებლობაა, არ უნდა დაგაკარგვინოთ მოთმინებაო".

ბ-ნს ვაშალომიძეს შეუძლიან გორას საზოგადოებაში დააარსოს ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა; ს. ბზვანშიაც, სადაც 400 კომლზედ მეტი მცხოვრებია, საჭიროა ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა, რომლის დაარსების დროსაც დახმარებას აღმოუჩენენ ბზვანის მღვდლები სიმონ ნადირაძე და გიორგი ტყეშელაშვილი; დვალიშვილების საზოგადოებაში, დარწმუნებული ვართ, იქაურ მღვდლის მამა მიხეილ საბაშვილის მეცადინეობით და დახმარებით ბოქაულს არ გაუჭირდება სკოლის დაარსება. მამა საბაშვილი დიდი გავლენიანი მღვდელია არა თუ იმ საზოგადოებაში, მთელს ამ კუთხეში.

3 ივლისს, ს. დვალიშვილებში, აბანოების მახლობლად შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: მდინარე სულორის მარჯვენა ნაპირას, მთაზედ ასულიყვნენ აქაური მცხოვრებლები, რიცხვით 7 კაცი, საიდგანაც უნდა გადმოეგდოთ ვეებერთელა მოჭრილი წიფლის ხე, რომელიც სიგრძით 18 არშინი იქნებოდა. ამ კაცებმა გადმოიხედეს მთიდგან, დაათვალიერეს, გზაზედ ხომ არავინ მიდისო და რაკი არავინ სჩანდა, გადმოუშვეს ხე, რომელიც უნდა ჩამოსულიყო აბანოებსა და დუქნებ შუა მდინარის ნაპირზედ; მაგრამ ხემ გზა იცვალა, გაუხვია მარჯვნივ და წავიდა პირდაპირ დუქნის უკან წყაროსაკენ. წყაროს მახლობლად ორი ბავშვი იყო: ერთი ბიჭი მედუქნისა, მეორე 15 წლის მოსწავლე ამაღლების მეორე კლასიანი სკოლისა გვარად არდიშვილი გურული. მედუქნის ბიჭმა მოასწრო გაქცევა, მეორე ყმაწვილი-კი ხემ ქვეშ მოიტანა და იქვე მოჰკლა. საცოდავი ერთად ერთი შვილი იყო ქვრივის დედისა, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგ წამოვიდა გურიიდგან და სცხოვრობდა თავის ძმასთან. დარჩა უიმედოდ და უპატრონოდ საბრალო დედა.

—

ვანის საზოგადოებაც თანდათან იღვიძებს: აქ დაარსდა, მამასახლისის ვ. მაღლაკელიძის და სხვათა თაოსნობით, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა; ფული ეხლავე შეკრიბეს 2000 მანეთამდე. ამ საქმის მოსაგვარებლად მიიწვიეს დიდი-ჯიხაიშიდგან იქაურ სასწავლებლის ზედამხედველი ბ-ნი დევიძე, რომელიც კარგა ხანია რაც სასოფლო ბანკის საქმეებს აგია და გამოცდილია ამ საქმეში; ამხანაგობის წევრად 60-მდე კაცია.

აქაურ სკოლის საქმე ჯერ კიდევ ძველ მდგომარეობაშია: მასწავლებელი წელიწადში ორი იცვლება და დიდხანს არც ერთი არა რჩება. 22 წელიწადია არსებობს აქ სკოლა და ჯერ არავითარი ნაყოფი არ მოუტანია, რაიცა მასწავლებელთა ბრალად უნდა ჩაითვალოს. კარგა ხანია რაც საზოგადოებამ ითხოვა ამ სკოლის ორკლასიანად გადაკეთება და იქნება ამ მომავალ სექტემბრიდგან გვეშველოს რამე. თუ სასწავლებელი გადაკეთდა, გამოცდილი კაცი დასჭირდება გამგედ.

—

ს. ტობანიერში ამ ათის თვის წინად 60-მა კაცმა შეადგინა ამხანაგობა და გამართა დილიჟანსი, რომელიც დადიოდა ტობანიერიდგან სამტრედიამდე. წევრებს ზოგს 30 მანეთი ჰქონდა შეტანილი, ზოგს 20 მანეთი და ზოგს კიდევ 10 მანეთი. ეს დილიჟანსი ისევ დამაარსებელს და მათ ცოლშვილს მოუნდა სასეირნოდ და მუშტრით ნაკლებად ისარგებლეს; ათი თვის განმავლობაში ვაი-ვაგლახით ათრიეს ეტლი, ბოლოს მოახდინეს კრება, იანგარიშეს და აღმოჩნდა, რომ დილიჟანს იმ ფულებს გარდა, რომელიც ამხანაგობას ჰქონდა შეტანილი, კიდევ დასდებოდა ვალი 900 მანეთი. წევრები ერთი მეორეს აბრალებდნენ ფულების გაფლანგვას; ბოლოს გათავდა საქმე იმით, რომ ამოარჩიეს ექვსი კაცი, რომელთაც გადასცეს დილიჟანსი თავისი ცხენებით და 900 მანეთი ვალიც. ამ ექვსმა კაცმა გაიყო დილიჟანსი, ცხენებიც და ვალიც. დანარჩენ დამაარსებლებ დაეკარგათ შეტანილი თავნი ფული, თორემ მოგებას ვილა სჩივ ასე უდროვოდ გამოესალმა წუთისოფელს ტობანიერის დილიჟანსი.

ვლადო ბზვანელი

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

თელავი. მაათს, 22 მკათათვეს, გამართულ იქმნა თელავის კლუბის დარბაზში ბ-ნ მ. აჯიმამულოვის გამგებლობით და ბ-ნ ზ. ი. ჩხიკვაძის დახმარებით ქართულ-რუსულ-სომხური „კონცერტი" მომავალ სახალხო თეატრის და ბიბლიოთეკის შენობის ფონდის სასარგებლოდ. ხორო შესდგებოდა 35 ქალის და კაცისაგან. იმღერეს თორმეტი ნომერი და ორი ნომერიც ქ. ლეჟავახოვ სამ როიალზედ დაუკრა და თად. ამაშ ძემ ვიოლონჩელზედ. საზოგადოებ ძალიან კმაყოფილი დარჩა და რამდენიმ ნომერი გაამეორებინა.

ჩვენს საზოგადოებას ეტყობა შეგნია თეატრის საჭიროება და გულმოდგინედ [illegible]. კონცერტს იმდენი ხალხი დაესწრო, რომ ნაწილი არ ჩაეტეოდა კლუბის დარბაზში. ამ ხალხში, რომელიც ქართველებისა და სომხებისაგან იყო შემდგარი, არა ჩნდა აქაური თავადაზნაურობა და ჩინოვნიკობა, რომელნიც ყოველ კონცერტს ესწრებიან, მაგრამ ამ საღამოს-კი არ ინებეს მობრძანება; სამაგიეროდ ხალხი თანაუგრძნობს თეატრის საქმეს და თუ ეს მხურვალე თანაგრძნობა არ მიუჩრდა, იმედია ორი წლის განმავლობაში ჩვენ საკუთარ თეატრი და წიგნთ-საცავი გვექნება.

დიდის მადლობის ღირსნი არიან როგორც დირექტორი ბ-ნი ზ. ი. ჩხიკვაძე და გამგე ბ-ნი აჯიმამულოვი, ისე ყმაწვილი ქალნი და კაცნი, რომელნიც გა ლობდნენ ან ეხმარებოდნენ ამ კონცერტის გამართვაში.

მუშა

—

გორი. ახალგაზრდა სცენის მოყვარეებმა ჩვენს გორს ძილი დაუფრთხ და წარმოდგენა გამართეს. წარმოდგენილი იყო შემდეგი პიესები: 1) „გაი გავეყარე, გულს შევეყარე," კომედია 1 მოქ. გ. გუნიასი. 2) „დატრიალდე ჯარა", ვოდევილი ერთ მოქმ. ყიფიანისა და „მონადირე", ვოდევ. 1 მოქმ. გ. გუნიასი.

აქ არ გამოვეკიდები იმას, თუ თვითეულ პიესაში როგორ ასრულეს თავიანთი როლები სცენის მოყვარეებმა; გეტყვით მხოლოდ, რომ არა უშავდათ ბ.ბ.: თვ—შვილს, მ—იანს, ხახ—შვილ და მთვრალი სოსიას როლის ამსრულებელ (ვერ ვიცანი, ვინ იყო და არც აფიშებში იყო გამოცხადებული—ვინ რა როლ თამაშობდა). კარგი იქმნებოდა თავის როლში ქ-ნი ნ—ძისა, უკეთუ ამ ახალგაზრდა ქალს სიხარულისა და მწუხარების დროსაც ერთნაირად ღიმილი არ ჰქონოდა; არ როდესაც ნამეტანი განცვიფრების გამოსახვა იყო საჭირო, გულგრილად არა მდგარიყო. ეს ზნე რო აიცილოს თავიდგან ქ. ნ—ძისამ, სწორედ სასიამოვნო იქნება მისი ხილ სცენაზედ, მით უმეტეს, რომ ხმა შესწევს და გარეგნობაც.

წარმოდგენას ერთობ რაღაც აჩქარებ და მოუმზადებლობა ეტყობოდა. უმ ლებელს დარბაზში ისეთი სიცხე იყო

რომ ადამიანი სულს ძლივს იბრუნებდა. მიზეზი ამისა, რა თქმა უნდა, ჯერ ბუნება იყო და მერე ის, რომ სარკმლები და კარები დაკეტილი იყო. გამგენი სწორედ დაიტანჯნენ: მახურავდნენ სარკმლებს,—ხალხი იწვოდა; გააღებდნენ და სხვა-და-სხვა არა-მკითხე-მოამბენი, ვინ იცის, რა საოხუნჯო სიტყვებს არ შემოაძახებდნენ ხოლმე დარბაზში. ხშირად გაისმოდა შინ თუ გარეთ „პრიჭტაუდი სადის" დაწ-დუწი, მაგრამ ვერ დაამშვიდეს. გარდა ამისა, ბილეთიანი და უბილეთო არ ირჩეოდა: ვისაც სად სურდა, იქ დასკუპდებოდა.

დიდი მადლობის ღირსნი არიან მონაწილეობის მიმღებნი და ბ. მაჭავარიანი, ამ სიმპატიური საქმის მოთავე. გორელებს ათასში ერთხელ ბედი გაუღიმებს და წარმოდგენას იხილავენ ბ-ნ მაჭავარიანის წყალობით. გამგენი ხარჯს არ დარიდებოდნენ, რომ ხალხი ესიამოვნებინათ: მოაწყვიათ მუსიკის ხორო, ივანეს ტკბილი დუდუკი, ჭყიოდნენ ტკბილჟღერობას და სხვა..

წარმოდგენას ხალხი ძალიან ბლომად დაესწრო. ქართველებში ერივნენ ჩვენი მტერ-მოყვარენიც და შიგა და შიგ ნემეცთა ქალებიც-კი. ხალხის სიმრავლის მიზეზი ის არის, რომ წარმოდგენა ორის სტუდენტის სასარგებლოდ იყო გამართული.

ვანო გიუნაშვილი

დ. აბაშა (სენაკის მაზრა). ამას წინად ივანე როსტომის ძე იოსელიანმა და ადგილობრივმა მღვდელმა მამა რომანოზ ჩიჩიამ განიზრახეს აქ სამარხო კასსის დაარსება. დაიბარეს ფოთიდგან წესდების ფორმა, მოაწერინეს ხელი ას ორმოც-და-ათამდე კაცს და გაუგზავნეს სადაც ჯერ იყო. მალე ადგილობრივს ბოქაულს სამინისტროსაგან დამტკიცებული წესდება მოუვიდა. ბოქაულმა 26 ივნისს მოახდინა ყრილობა, გამოუცხადა წევრთ, რომ მათი თხოვნა შეწყნარებულ და დამტკიცებულ იქმნა, აუხსნა დაწვრილებით წესდების შინაარსი, შემდეგ სთხოვა აერჩიათ სამი ხაზინადარი, სამი იმათი მოადგილე და სამიც კონტროლიორი, სულ ცხრა კაცი. ესენი აქაურები უნდა ყოფილიყვნენ, შეძლებულნი, პატიოსანნი, წერა-კითხვის და ანგარიშის მცოდნენი. სამწუხაროდ, იმ დღეს ხალხი ვერ შეიკრიბა და არჩევანი ვერ მოხდა. ბოქაულმა არჩევანები თუთხმეტ ივლისისათვის გადასდო. სანამ დანიშნულ ყრილობის დღე მოვიდოდა და საერთო რჩევა-თათბირი გვექნებოდა, დაბის ზოგიერთ უსაქმურ გაჟბატონებს თავიანთი თავი აურჩევიათ ამ სხვის მიერ გაკეთებულ და ნაშრომ საქმის გამგედ და მოთავედ. ეს გაჟბატონები დადიან, ხალხს წევრებად იღებენ და საწევრო ფულს ჰკრეფავენ.

დიდად დაგვავალებენ ბატონი ივანე როსტომის ძე იოსელიანი და მამა რომანოზ ჩიჩია, თუ ამ თავიანთ მიერ დაწყებულ საქმეს მოაგვარებენ და მკვიდრ ნიადაგზედ დააყენებენ.

წევრთაგანი ნიკოლოზ პერტენავა

რუსეთი

ამას წინად საერო განათლების სამინისტროს სამის კაცისათვის მიუნდვია გადათვალიერება დ. ი. ილოვაისკის მიერ შედგენილ ისტორიის სახელმძღვანელოებისა, რომლებიც საშუალო სასწავლებლებშია მიღებული. რეცენზენტებს ბევრი ნაკლი უნახავთ ამ სახელმძღვანელოებში და ეხლა სამინისტროს დაუვალებია ავტორისათვის შესწორება სახელმძღვანელოებისა.

— პეტერბურგის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტი გაიხსნება 1902 წლის შემოდგომაზედ.

— ამ ცოტა ხანში ორასი წელიწადი შესრულდება, რაც რუსეთში კერძო კაცის მიერ პირველად აფთექა იქმნა გამართული. ამის გამო ფარმაცევტებს განუზრახავთ გამართონ 1901 წელს სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა კრება. შუამდგომლობა ამის შესახებ უკვე აღუძრავთ. კრებაზედ აზრადა აქვთ საფარმაცევტო საქმის გამოფენაც გამართონ. ჰფიქრობენ კრება 15—20 დეკემბერს მოახდინონ, როდესაც რუსეთის მკურნალთა და ბუნების-მეტყველთა მე-XI კრება უნდა მოხდეს. საიუბილეო დღედ 22 ნოემბერი ითვლება. 1701 წლის 22 ნოემბერს პეტრე დიდმა გამოაქვეყნა ბრძანება მოსკოვში 8 კერძო აფთექის დაარსების შესახებ.

— სექტემბერში გზათა სამინისტროსთან შესდგება განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ტიპი რკინის გზის საავადმყოფოებისა.

— მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს შემოიღოს სასოფლო-სამეურნეო კურსები ზამთრობით.

— ტომსკის სატეხნოლოგიო ინსტიტუტში უკვე დაიწყო თხოვნების მიღება. ამ ინსტიტუტში ჯერ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთ მიიღებენ, შემდეგ რუსეთის აზიის მცხოვრებთ, რომელთაც საშუალო სასწავლებლის გათავების მოწმობა ექმნებათ. საჭიროა საშუალო სასწავლებელში დამთავრებულთ მათემატიკასა, ფიზიკასა და რუსულ ენაში 4 ჰქონდეთ. დანარჩენ კანდიდატებს გამოსაცდელ ეგზამენების შემდეგ მიიღებენ. ეგზამენები უნდა დაიჭირონ მათემატიკასა, ფიზიკასა და რუსულ ენაში. თხოვნები 7 აგვისტომდე მიიღება, გამოცდა მოხდება 16, 18, 20 და 21 აგვისტოს. პირველ კურსზედ მიიღებენ: სამექანიკო განყოფილების—96 კაცს, საქიმიოზედ—50 და სამთო განყოფილებაზედ—70 კაცს. მიღებულთ წინდაწინვე 50 მანეთი სწავლის ფული უნდა წარადგინონ. სტუდენტებად მიიღებენ აგრეთვე სასულიერო სემინარიებსა და კადეტთა კორპუსებში სწავლა-დამთავრებულთ.

— ამერიკელებს თანდათან უფრო აინტერესებს რუსეთი, განსაკუთრებით ფინლიანდია, ვოლგის მხარე და კავკასია. ამ დღეებში პეტერბურგიდგან მოსკოვში ჩამოვიდნენ ამერიკელი მოგზაურნი, 8 კაცი და 15 ქალი; რომელნიც წინად გელსინგფორსში იყვნენ, ორი დღე პეტერბურგში დაჰყვეს, სადაც დაათვალიერეს ყველა ღირს-შესანიშნავი ადგილები, მუზეუმი და წიგნთ-საცავები. მოსკოვში მოგზაურნი 3—4 დღეს დარჩებიან და მერე ნიჟნი-ნოვგოროდში წავლენ, იქიდგან ვოლგით კასპის ზღვაში ჩამოვლენ და შემდეგ კავკასიას შემოივლიან. ზოგი მოგზაურთაგანი ავრცელებს რუსეთში და ჰყიდის ამერიკულს ნივთებს. ორი ამერიკელი მანდილოსანი მოგზაურობს ორი დიდი ჟურნალის რედაქციების მინდობილებით, რათა აღწერონ ღირს-შესანიშნავი ადგილები, ხოლო ერთი მანდილოსანი ფოტოგრაფიულს სურათებს ამზადებს რუსეთის ცხოვრებიდგან. ერთად მიმოსვლა მოგზაურებს შედარებით ძვირად არ უჯდებათ; გზაზედ ისინი ექვს თვეზედ მეტს არ დარჩებიან.

— გზათა სამინისტროში ლაპარაკი ალუძრავთ იმის შესახებ, რომ ჩქარ-მოსიარულე მატარებელთა მიმოსვლა კიდევ უფრო დააჩქარონ, ასე რომ მატარებელმა საათში 80 ვერსი გაიაროს. თუ ეს საგანი შეწყნარებულ იქმნა, მატარებელთა მიმოსვლა ახალის წეს-რიგით მომავალ ზამთარს დაიწყება.

— რუსეთის ნავთის მწარმოებელთა საზოგადოების ანგარიშიდგან სჩანს, რომ გასულ 1900 წელს საზოგადოებას ჰქონია შემოსავალი 2,478,017 მან. 32 კაპ., წინა წელზედ 570,799 მან. 71 კაპეიკით მეტი.

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. **წ.** ელენეს კუნძულზე, სადაც დამწყვდეულნი არიან ტყვედ წაყვანილი ბურები, ამ ჟამად დიდი არეულობაა თურმე. ტყვე ბურთა შორის შეტაკება მოხდა იმის გამო, რომ ბევრმა ტყვემ ინგლისის ერთგულობის ფიცი მიიღო. ამ უკანასკნელთ დიდის ზიზღით უყურებენ ბურები და ხშირად შეურაცხჰყოფენ ხოლმე, ერთხელ უსუფთაობის ორმოში ჩაჰყარეს თურმე ისინი. ინგლისელები იძულებულნი შეიქმნენ დაფიცებული ტყვეები ცალკე ბანაკში გადაეყვანათ. მაგრამ ხშირად ტყვეები თავს იშვებენ და ისევ დაერევიან ხოლმე ერთმანერთს. რამდენს ხანს დარჩებიან ტყვეები ამ კუნძულზე, არავინ უწყის. ყოველს შემთხვევაში ერთი წელიწადი მაინც გავა, ვიდრე ისინი სხვაგან იქმნებიან გადაყვანილნი.

— ინგლისის სამხედრო მინისტრმა ნება არ დართო თურმე ცნობილს მისს ჰობჰაუზს სამხრეთ-აფრიკაში დაბრუნებისა, სადაც ამ კაცთ-მოყვარე ქალს, რომელმაც ამას წინად გამოამჟღავნა აუწერელი ტანჯვა-წვალება დატყვევებულ ბურების ოჯახებისა, უნდოდა კვლავ შემწეობა აღმოეჩინა ბანაკებში დამწყვდეულთათვის. სამხედრო მინისტრი თავისს უარს იმითი ახსნობს, რომ მისს ჰობჰაუზს წინდაწინ შემდგარი აზრი აქვს შედგენილი ბანაკ-თავშესაფარების მოწყობის შესახებ და ამისათვის მთავრობას არ შეუძლიან ნება მისცეს მას, ბურებთან საქმე იქონიოს.

— ინგლისელების საქმე უფრო გამწვავდა სამხრეთ-აფრიკაში. აჯანყებულთა რიცხვი ყოველ-დღე ემატება ბურებს. ამ დღეებში კაპის ახალშენის ოლქებიდგან ორას-ორასი კაცი შეემატა ბურთა რაზმს. აჯანყებულთა დასჯა, ახალშენის გადგენიან კაცთა დაპატიმრება უფრო ახელებს მცხოვრებლებს და უკმაყოფილება დღითი-დღე იზრდება.

— კრიუგერს უარი უთქვამს ბურებსა და ინგლისს შორის შუამდგომლობაზედ, თუ ყოველ-გვარ მოლაპარაკების უწინარეს უზრუნველ-ყოფილი არ იქმნება რესპუბლიკების სრული დამოუკიდებლობა.

იტალია. ამ ჟამად კათოლიკეთა გაზეთები სჯა-ბაასობენ რომის პაპისა და კარდინალ რამპოლას შორის მომხდარ უთანხმოების შესახებ. სტატს-სეკრეტრის რამპოლას მდგომარეობა ვატიკანში მართლაც ძალიან შეირყა. საქმე იმაშია, რომ კარდინალი რამპოლა და საფრანგეთის ელჩი ვატიკანში აქამდის არწმუნებდნენ პაპს, რომ ცნობილს საფრანგეთის კონგრეგაციების წინააღმდეგ მიმართული წესდება სენატის მიერ მიღებული არ იქმნება და ამისათვის ეს წესდება ეკლესიის ინტერესებისათვის საშიშს არაფერს წარმოადგენსო. მოხდაკი სულ სხვანაირად. საფრანგეთის სენატმა წესდება მიიღო. გაიგო ეს თუ არა პაპმა, ძლიერ გაჯავრდა და ცხარე საყვედურებით მიმართა კარდინალს რამპოლას. ამ დღიდგან რამპოლას სამსახურიდგან გადადგომა გადაწყვეტილი საქმეა. თვითონ კარდინალიც იმ დასკვნამდის მივიდა, რომ მისი პოლიტიკა საფრანგეთის მიმართ შემცდარი იყო; ეხლა იგი მხოლოდ მოხერხებულს შემთხვევას უცდის, რომ თავი დაანებოს თავისს მძიმე თანამდებობას. მისის უწმიდესობის სანდო პირი ეხლა კარდინალი ფერრატაა, რომელიც დღეს თუ ხვალ დანიშნული იქმნება სტატს-სეკრეტრად. ფერრატა 54 წლისაა. წინად ის იეზუიტთა კოლლეგიების ვიზიტატორი იყო, შემდეგ—პაპის სემინარიის პროფესორი რომში და ბოლოს პაპის დიპლომატიაში გადავიდა. ამ თანამდებობაში მან დიდი სამსახური გაუწია რომის კათოლიკეთა ეკლესიას. 1891 წელს იგი დანიშნული იქმნა ნუნციუსად პარიჟში, ხოლო 1896 წელს კარდინალობა ებოძა. მას აქეთ იგი რომში დასახლდა. დიპლომატიურს წრეებში ფერრატა კარდინალის რამპოლას პოლიტიკურ პროგრამის დიდ მოწინააღმდეგედ ითვლება.

კარდინალი რამპოლა საფრანგეთისა და რუსეთის მომხრე იყო, ამისათვის მისი დამარცხება უხარიან ბერლინსა და ვენის დიპლომატიას, რომელიც სცდილობს სამთა კავშირის გამარჯვებასა. თვით იმპერატორი ვილჰელმი თავისებურად მხნედ აწარმოებს საგარეო პოლიტიკასა და მიწერ-მოწერა აქვს კათოლიკეთა გავლენიან სასულიერო პირებთან.

ჩინეთი. 26 (13) ივლისს პეკინში უცხო სახელმწიფოთა ელჩების მესამოცე კრება მოხდა სამხედრო საზღაურის საქმის საბოლოოდ გადასაწყვეტად. რუსეთის ელჩმა წაიკითხა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ რუსეთი უკანვე იბრუნებს თავის წინადადებას საზღაურის სრულიად უზრუნველ საყოფლად საბაჟო ტარიფის 5% მომატების შესახებ, მხოლოდ იმ პირობით, თუ დიდ სახელმწიფოთა მიერ დანიშნული თანხა საკმარისი არ იქმნება, სახელმწიფოთა გამონძებნონ სხვა წყაროები ამავე საქმისათვის. ბრიტანიის ელჩმა მიიღო რუსეთის წინადადება და სამხედრო საზღაურის უზრუნველ-ყოფის საქმე საბოლოოდ იქმნა გადაწყვეტილი.

კრებამ დაადგინა აგრეთვე, რომ ტაკუსა და შანხაიკუანის სიმაგრეები ჩინელების მიერ საკუთარის ხარჯით იქმნას დანგრეული. ამ ჟამად ჩინელთა ჯარებს შეუძლიანთ პეკინში დაბრუნდნენ, საიდგანაც ყველა ევროპიელთა ჯარები, საელჩოთა დარაჯის გარდა, გაყვანილ იქმნებიან 15 აგვისტომდის.

გერმანია. ბერლინში სასტიკი ღონისძიება იქმნა მიღებული იმ პირთა აღმოსაჩენად, რომელთაც გამოამჟღავნეს საიდუმლო ახალის საბაჟო ტარიფის პროექტისა. პოლიციამ გასჩხრიკა ბინა პარლამენტის კორესპონდენციის გამომცემლის დ-რის კამბურგერისა, მწერალთა კავშირის ვექილის დ-რის გიდებრანდტისა, ერთის უცხოელ გაზეთის კორესპონდენტისა, რომელსაც უნახეს საეჭვო საბუთები და დიდძალი ფული. გერმანიის იმპერატორსა და გარეშე საქმეთა სამინისტროს გაცხარებული მიწერ-მოწერა აქვთ ამ საქმის შესახებ. გაზეთები სწერენ, რომ ამ ახალ საბაჟო ტარიფის პროექტით გერმანია აშკარად უცხადებს ომს რუსეთს, ავსტრიასა და შეერთებულ შტატებსაო. ამ საქმეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექმნება. იგი სრულიად შეცვლის გერმანიისა და მასთან ერთად მთელის ევროპის პოლიტიკურს წეს-წყობილებასაო.

სასამართლოს მატიანე

გლეხის უსუფაშვილის საქმე.

1901 წელს, 5 აპრილს, რაჭის მაზრის სოფელ ჭიორის მცხოვრებს ვასილ მკერვალიშვილს (14 წ.) ტფილისიდგან წაუღია ჭური ნავთლუღში მანუჩაროვის დუქანში და გზად გადაუვლია დიმიტრი ჩიქავაძის საძოვარ ადგილზედ. როდესაც მკერვალიშვილი მისულა დუქანში და პატარა ხანს შეუსვენია, იქვე მისულა ჩიქავაძის საძოვრის დარაჯი ტფილისის მაზრის, სოფელ პატარძეულის მცხოვრები გლეხი ალექსი გიორგის ძე უსუფაშვილი და დაუწყვია გინება და ლანძღვა მკერვალიშვილისათვის, რად გადაიარე საძოვარ ადგილზედ და ბალახი რად გააფუჭეო. მკერვალიშვილს უპასუხნია, რომ არაფერი გამიფუჭებია, მხოლოდ გამოვიარე საძოვარზეო. ამაზე დარაჯს უსუფაშვილს დაუმიზნებია თოფი, უსროლია და იქვე მოუკლავს მკერვალიშვილი. ამის გამო პასუხის გებაში მიცემულ უსუფაშვილს გამომძიებელთან განუცხადებია, რომ არავითარი განზრახვა არა მქონდა მომეკლა მკერვალიშვილი, უცაბედად მომივიდა ესა, რადგანაც არ ვიცოდი, თუ თოფი გატენილი მქონდაო. საქმის ყვეთი გარემოება შეუმოწმებია იქვე დამსწრეს ანტონ იმედაშვილს.

ეს საქმე განიხილა გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის მეორე განყოფილებამ, სადაც ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე თავ. ბეგთაბეგოვი; სასამართლოში საქმის გამოძიების დროს, როგორც მოწმემ იმედაშვილმა, ისევე ბრალდებულმაც უსუფაშვილმა გაიმეორეს იგივე, რაც გამომძიებელთან სთქვეს; ვექილმა თავ. ბეგთაბეგოვმა ითხოვა ბრალდებულისათვის მცირე სასჯელი გარდაეწყვიტათ, რადგანაც თავის და უნებურად მოუხდა მკერვალიშვილის მოკვლაო. ერთი საათის თათბირის შემდეგ ოლქის სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იქმნა ცნობილი უსუფაშვილი, და გარდაუწყვიტა ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში სამის წლით გაგზავნა.

დამაკვირდი

ზოგიერთი დიდი თანამდებობა ციცაბ კლდეს ჰგავს: ან არწივი უნდა იყვე, რომ აჰფრინდე, ან ქვემძრომი, რომ აცოცდე.

ტალეირანი

* * *

ძუნწი ზოგჯერ შეიძლება ჭკვიანიც იყოს, ბედოვლათი-კი ყოველთვის სულელია.

სომერი

* * *

უცილობელი ნიშანი უმაღლესის ბუნებურ ღირსებისა—შური არ ქონაა.

ლაროშფუკო

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

სამკურნალო დეპარტამენტის ჟურნალში საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ დიდ ქალაქებში რამდენი ხალხი იხოცება და რამდენი ყმაწვილი იბადება. შარშან, 1900 წელს, მაგალითად, ყველაზედ მეტი ხალხი, მცხოვრებთა კვალობა-

ზედ, მოსკოვში დახოცილა. ათასს კაცში იქ 30 კაცი ესალმებოდა წუთი-სოფელს. მეორე ადგილი პეტერბურგს უჭირავს, სადაც 1000-ზედ 27 კაცი მოდიოდა. ამ ქალაქებს მისდევენ:

ბუხარესტი	23,0
ვენა	20,6
ნიუ-იორკი	20,6
პარიჟი	20,5
ბერლინი	19,3
რომი	19,1
ლონდონი	18,7
კოპენჰაგენი	18,0
სტოკჰოლმი	17,1
ამსტერდამი	16,7
ბაზელი	16,5
ბრიუსელი	16,4
ქრისტიანია	15,8

ამ რიგად, ყველაზედ ნაკლებად ხალხი ქრისტიანიაში იხოცება: 1000 კაცში მხოლოდ 15 ესალმება წელიწადში სიცოცხლეს.

* * *

ბრიუსელის პოლიციას შეუძენია 20 ძაღლი, რომელთა წრთვნასაც გულ-მოდგინეთ შესდგომიან. ამ გაწვრთნილ ძაღლებს პოლიციელებს გაატანენ ქურდებისა, მაწანწალებისა და ყაჩაღების დაჭერის დროს. იმედი აქვთ, რომ ძაღლები დიდ დახმარებას გაუწევენ პოლიციელთ.

* * *

პარიჟის უნივერსიტეტმა 9 ივლისს მიანიჭა დოქტორის ხარისხი ახალგაზრდა, მეტად ლამაზს ქალს კარლოტტა ჩიპრიანისას. დამსწრენი დიდის ალტაცებით მიეგებნენ თურმე ახალგაზრდა დოქტორს.

* * *

სან-ფრანცისკოში (ამერიკაშია) ამას წინად ბურების ობოლთა და ქვრივთა სასარგებლოდ კონცერტი გაუმართავთ. კონცერტი გაუმართავს გენერალის დევეტის ძმის წულს ქ-ნ დევეტს. მონაწილეობა მიუღიათ ამ კონცერტში, სხვათა შორის, კრიუგერის ძმის-წულს ფანნი კრიუგერს. დიდ ძალი საზოგადოება დასწრებია კონცერტს და შემოსავალიც კარგი ჰქონია.

* * *

დედამიწაზედ თურმე ღარიბი მეფეებიც მოიპოვებიან. ჯერ ერთი, ყველა მეფეს არ ეძლევა ის ფული, რასაც კანონით უნიშნავენ. პორტუგალიის მეფეს, მაგალითად, 800,000 მანეთი აქვს დანიშნული, ნამდვილად კი ამის მეოთხედიც არ ეძლევა. ოსმალეთის სულთანი, რომელსაც 7 მილიონი მანეთი აქვს დანიშნული, სულ ვერაფერს იღებს ხაზინიდგან, რადგანაც იგი ცარიელია და გულითაც რომ მოისურვოს, ვერას გამორჩება. მაგრამ სულთანს, სამაგიეროდ, დიდძალი კერძო ქონება აქვს. ნამდვილად ღარიბი სამოას მეფე ყოფილა, რომელსაც არც კერძო ქონება აქვს და ხაზინიდგანაც კვირაში მხოლოდ ოც და ორი მანეთი ეძლევა; ამავე დროს იმის მინისტრები კარგი ჯამაგირით სარგებლობენ: სამოას მთავარ მოსამართლეს ეძლევა 12 ათასი მანეთი, ხოლოდ მინისტრ-პრეზიდენტს—10 ათასი. საწყალ მეფეს ხშირად დაგლეჯილი ფეხსაცმელი აცვია თურმე. კარგა ხანია ეს ხელმწიფე თხოულობს, სხვა რამ თანამდებობა ჩამაბარეთ, მეფობა არ მინდაო, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. უფრო უარეს მდგომარეობაშია დაგომეის მეფე, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა თვეში 50 მანეთს აძლევს. ამ ფულით ცხოვრება, რასაკვარველია, ძალიან ძნელია სამხრეთ აფრიკის ოდესღაც ძლიერ მბრძანებელისათვის!

* * *

ნიუ-იორკში მრავალი სიგარის ქარხანაა. ამ ქარხნებში მუშებად უმთავრესად ესპანელნი, კუბელნი და მექსიკელნი არიან. ამას წინად მუშებს საყურადღებო ამხანაგობა დაუარსებიათ. წესდების ძალით, მუშებს მუშაობის დროს ლაპარაკი სასტიკად აქვთ აკრძალული. ასეთი სიჩუმე, რასაკვირველია, ძნელი ასატანი იქნებოდა, რომ ამ დროს დაქირავებული კაცი წიგნს არა კითხულობდეს და მუშები იმას არ უგდებდნენ ყურს. ამ წიგნის მკითხველს ამხანაგობა საჭირო ფულითა ჰქირაობს. მკითხველად არჩევენ ჯან საღს კაცს, კარგის ხმის მქონესა და კარგად კითხვის მცოდნეს. სახელოსნოში ცალკე სტოლია, რომელსაც უზის მკითხველი და მთელი დღე, მუშაობის დროს, უკითხავს სამეცნიერო და საბელეტრისტო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

24 ივლისი.

პეტერბურგი. 24 ივლისს შინაგან საქმეთა მინისტრი დაბრუნდა რუსეთში მგზავრობიდგან.—„კანონთა კრებულში" გამოქვეყნებულია ბრძანება გლეხთა სადგილ-მამულო ბანკის 50 მილიონ მანეთის სახელმწიფო მოწმობათა გამოცემის შესახებ.—24 ივლისს ცეცხლი გაუჩნდა ხაიმოვიჩის ქარხანას, რომელიც „სალამანდრას" საზოგადოებაში 500,000 მანეთად არის დაზღვეული. ზარალი 100,000 მანეთს აღემატება; მუშაობა შეჩერებულია.

სარატოვი. ღამე ცეცხლი გაჩნდა ვოლგას ნაპირზედ, ცეცხლი უკიდია ივანოვისა, ბელოუხოვისა, მაკაროვისა და თავად გოლიცინის სახერხ ქარხნებსა, ხე-ტყის საწყობებსა და შეშას. ცეცხლი საშინლად მოედო.

ლოძი. გუშინ დიდი ცეცხლი გაუჩნდა გერტიგის აპრეტურას. დაიწვა დამზადებულ საქონლის საწყობი. ზარალი 200,000 მანეთამდეა. დაზღვეულია 450,000 მანეთად პეტერბურგ-ვარშავის საზოგადოებაში.

პეტერბურგი. 24 ივლისს დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული უავგუსტოეს ქალებითურთ ალექსანდრიიდგან გატჩინოში წაბრძანდა საცხოვრებლად.

კონსტანტინეპოლი. უკანასკნელ აუდენციის დროს, სულთანსა და რუსეთის ელჩს შორის ლაპარაკი ძველ სერბიის შესახებ ჩამოვარდა. ელჩმა იმედი გამოსთქვა, რომ პორტა ეცდება ამ ოლქებში მშვიდობიანობის დაცვასაო. სულთანმა მიუგო, რომ ამისათვის ყველა საშუალებაა მიღებულიო.

ბერლინი. იუწყებიან, რომ შეწყნარებულ იქმნა ელზას-ლორენის სტატს-სეკრეტრის პუტტკამერის თხოვნა სამსახურიდგან გადადგომის შესახებაო. იმის მაგიერ დანიშნულ იქმნა ობერ-პრეზიდენტი კელლერი. კელლერის მოადგილედ იმპერიის კანცელარიის უფროსად ასახელებენ ვილმოვსკის.

ბუხარესტი. რამწამს რუსეთის ესკადრა კიუსტენჯეში მოვიდა, ესკადრის უფროსმა სურვილი განაცხადა მეფის წინაშე წარდგომისა. შემდეგ შტაბთან ერთად იგი განსაკუთრებულ მატარებლით სინაიში წავიდა, სადაც სადგურზედ დახვდა მეფის სამხედრო კაბინეტის უფროსი. სასახლემდე ადმირალი სასახლის ეტლით მივიდა და მიღებულ იქმნა აუდიენციაზედ მეფისა და დედოფლის მიერ. ნაშუადღევის პირველ საათზედ გამართულ იქმნა საგანგებო საუზმე 40 კაცისათვის. დაესწრნენ მემკვიდრე პრინცი, მემკვიდრე პრინცესა, შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრები, რუსეთის საელჩოს წევრები, სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი. მეფემ შემდეგი სადღეგრძელო წარმოსთქვა: „სიხარულით ვეგებები კიუსტენჯეში რუსეთის ესკადრას მით უმეტეს, რომ ამ ესკადრის ჩვენ ნავთსადგურში მოსვლა მაგონებს იმ ძმობას, რომელიც ომის დროს ბოლგარიის ველზედ დაიდო. ვმადლობ მის უდიდებულესობას იმპერატორს, თქვენს უავგუსტოეს ხელმწიფეს იმისათვის, რომ მან ნება დაგრთოთ ჩემთან მოსვლისა სინაიში. ეს თავაზიანი საქციელი დიდად მახარებს. იგი თავმდებია იმ მეგობრულ განწყობილების განმტკიცებისა, რომელიც რუსეთსა და რუმინიას შორის არსებობს და რომელსაც მე დიდ მნიშვნელობას ვაძლევ. გულით ვუსურვებ ბედნიერებას თქვენ უავგუსტოეს ხელმწიფეს და დღეგრძელობას თქვენ მშვენიერ ფლოტს. ვსვამ მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზისა და მისს უდიდებულესობის იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორის ასულის სადღეგრძელოს". ადმირალმა მადლობა გადაუხადა და რუმინიის მეფისა, დედოფლისა და სამეფო გვარეულობის სადღეგრძელო წარმოსთქვა. 4 საათზედ რუსეთის აფიცრები წარუდგნენ მემკვიდრე პრინცს, ხოლო 6 საათზედ სინაიდგან წავიდნენ განსაკუთრებულ მატარებლით. კიუსტენჯეში ხვალ დილით დაბრუნდებიან; მანამდე ჩერნოვოდის ხიდს დაათვალიერებენ.

25 ივლისი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა გერმანიის ქვრივ იმპერატრიცის ვიქტორიის გარდაცვალების გამო ოთხის კვირით მგლოვიარედ ყოფა ბრძანა სასახლეში.

იმ საქმეების გამოსარკვევად რომელნიც გამოიწვია სამოსწავლო გეგმის შეცვლამ გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში, საერო განათლების სამინისტროს გამგემ მიჰმართა სამოსწავლო ოლქის უფროსებს და გამოუცხადა სახეში იქონიონ, რომ კომისიის მიერ შემუშავებული და ჯერ წესისა და რიგისამებრ არ დამტკიცებული კონსპექტი საშუალო სკოლის გადაკეთებისა წარმოადგენს მხოლოდ პროექტს, რომლის განხილვასაც განაგრძობს ზამთარში ახლად შემდგარი კომისია; ამიტომ ამ კონსპექტის განხორციელება 1901—1902 სამოსწავლო წელს შეიძლება მხოლოდ გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების 1 და 2 კლასებში, რადგანაც სასწავლო წესი ამ კლასებში, დადგენილი 11 და 18 ივნისის უმაღლესის ბრძანებით, თითქმის სავსებით შეესაბამება საშუალო სკოლის განზრახულ რეფორმას; ამიტომ, რადგანაც 1901—1902 წელს ლათინურ ენის სწავლება აღარ იქმნება გიმნაზიის არც პირველსა და არც მეორე კლასში, ხოლო ბერძნული ენის სწავლება გამოკლებული იქმნება მე-3 და მე-4 კლასების კურსიდგან, 1) დამატებითი ეგზამენები, რომელიც დაენიშნათ პირველ კლასის ზოგიერთ მოსწავლეებს ლათინურ ენაში და მესამე კლასის მოსწავლეებს ბერძნულ ენაში, გაუქმებულ უნდა იქმნას; 2) გიმნაზიის 1 და 3 კლასის იმ მოსწავლეებს, რომელნიც დატოვებულ იქმნენ მეორე წელიწადს მოუმზადებლობისა გამო ორ საგანში, რომელთაგან ერთი 1 კლასის მოსწავლეთათვის ლათინური ენაა, ხოლო მე-3 კლასის მოსწავლეთათვის—ბერძნული,—ცუდი ნიშნები პირველსა და მეორე საგანშიაც არ უნდა ჩაეთვალოთ; 3) გიმნაზიების იმ მოსწავლეებს, რომელნიც მეორე კლასიდგან მესამეში და მეოთხედგან მეხუთეში გადადიან, აგრეთვე მე-3 და 5 კლასებში ახლად შემსვლელთ ისეთივე ცოდნა უნდა მოეთხოვოთ ლათინურ და ბერძნულ ენებისა, როგორც დღემდე ეთხოვებოდათ ასეთ შემთხვევებში. ერთ-ერთ ახალის ენის არჩევა დამოკიდებულია მოსწავლეთა დედმამაზედ.

ვიტებსკი. 24 ივლისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ცეცხლი გაჩნდა ქალაქის სამ ნაწილში, სადაც ღარიბნი სცხოვრობენ. ზარალი მეტად დიდია, გადაიბუგა ორი განაპირა უბანი. ცეცხლი ჯერ კიდევ არ ჩამქრალა. სმოლენსკიდგან მქრობელთა რაზმი იქმნა დაბარებული. გუბერნატორის თავმჯდომარეობით სდგება კომისია დაზარალებულთა დასახმარებლად.

ჰომბურგი. გერმანიისა და უცხო სახელმწიფოების ხელმწიფეთა და მეთაურთაგან სამძიმრის დეპეშები მოვიდა რუსეთის იმპერატორისა, ინგლისის მეფისა, ავსტრიის იმპერატორისა, იტალიის მეფისა და პრეზიდენტის ლუბესაგან. როგორც ისმის, მიცვალებულს ორშაბათს დაასაფლავებენ პოტსდამში.

სოფია. რუსეთის ესკადრა ხვალ ვარნაში მივა და დაჰყოფს იქ სამ დღეს.

ბელგრადი. სერბია უარჰყოფს იმ ამბავს, ვითომ პრიშტინიდგან სერბიის ელჩი გაეხმოს.

* * *

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 28 ივლისს, შუადღის 12 საათზედ გამგეობის დარბაზში

საჯარო ვაჭრობა

მოხდება, რომელზედაც იჯარით გაიცემა ბეტონის წყლის სადენ მილის გაყვანის საქმე ვოდოვოზნის ქუჩიდგან დაწყებული საპიორნის შესახვევამდე, სიგრძით 62,00 საჟ. სამუშაო სულ 1154 მანეთისაა.

მსურველთ პირობათა ნახვა შეუძლიანთ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1-ლ საათამდე.

(3—6—1)

წმ. ნინოს დედათა საქველმოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1901—1902 სამოსწავლო წელს ქ. თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელში ახლად შემსვლელთ, ვაკანსიების მიხედვით, მიიღებენ მხოლოდ მოსამზადებელ განყოფილებაში. თხოვნები და ყველა საჭირო ქაღალდები გამგეობის კანცელარიას უნდა წარუდგინოს არა უგვიანეს 20 აგვისტოსი, ხოლო ის ქალები, რომელნიც შესვლას აპირობენ, ეგზამენისათვის უნდა გამოცხადდნენ 31 აგვისტოს, დილის 8 საათზედ. მიიღებენ ქალებს კონკურსით.

განმეორებითი ეგზამენები მოხდება 27—28 აგვისტომდე. ხოლო სწავლა 4 სექტემბერს დაიწყობა. ამასთან გამგეობა აცხადებს, რომ სწავლის ფასი როგორც პანსიონერებისა, აგრეთვე გარედგან მოსიარულეთა, სრულად უნდა იქმნას შეტანილი წლის პირველ ნახევრისა—პირველ სექტემბერს, ხოლო მეორე ნახევრისა—10 იანვარს (პანსიონერებმა 95 მანეთი, ნახევარ პანსიონერებმა—50 მანეთი და გარედგან მოსიარულეთ—20 მანეთი).

ახლად შემსვლელთ, ეგზამენების დაჭერის შემდეგ, ფული დაუყოვნებლივ უნდა შემოიტანონ. სომხურის ენისა და მუსიკის სწავლებისათვის ცალკე სასყიდელია.

ის მოსწავლენი, რომელთა სწავლის ფასიც დროზედ არ იქნება შეტანილი, სასწავლებლიდგან გასულად იქმნებიან ჩათვლილნი.

გამგეობის თავმჯდომარე სოფიო განსვგაჩისა.

(3—უ—2)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელიწადი მეოცე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა კარგად და მხიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუჩარიანცს, ტფილისს. (24—133—11)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го Іюля 1901 г.

სტამბა ქ. ი. ხელაძისა დვორცოვ-მედღქოვის ქ., № 28.

რედაქტორ-გამომცემელი, ილია ჭავჭავაძე